

შპს “Georgian Bridge Construction”

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერი

შპს "GEORGIAN BRIDGE CONSTRUCTION"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასი ლარი)

	შენიშვნები	31.დეკ.20	31.დეკ.19
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	1 490	1 587
არამატერიალური აქტივები	3	1	1
ბიოლოგიური აქტივი		1	1
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 492	1 589
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	4	1 132	236
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1 290	1 055
წინასწარი გადახდები	6	268	297
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები	7	328	217
სულ მიმდინარე აქტივები		3 018	1 805
სულ აქტივები		4 510	3 394
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8	10	10
გაუნაწილებელი მოგება		258	(21)
სულ კაპიტალი		268	(11)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ლიზინგი		199	142
გრძელვადიანი სესხი	10	518	459
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		717	601
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	1 421	255
მიღებული ავანსები		394	1 972
ფინანსური ლიზინგის ვალდებულება		-	77
მოკლევადიანი სესხი	10	1 710	500
მიმდინარე მოგების გადასახადი		-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3 525	2 804
სულ ვალდებულებები		4 242	3 405
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4 510	3 394

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

სექტემბერი 30, 2020

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 8-16 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს "GEORGIAN BRIDGE CONSTRUCTION"

სრული შემოსავლის ანგარიშგება


2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათასი ლარი)

	შენიშვნები	2020	2019
შემოსავალი	11	7 089	2 997
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	12	(5 300)	(2 415)
საერთო მოგება		1 789	582
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	13	(1 028)	(1 002)
საოპერაციო ხარჯი	14	(51)	(29)
საოპერაციო მოგება		710	(449)
ფინანსური ხარჯი	15	(323)	(234)
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობიდან	16	(110)	(22)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	17	3	(15)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		-	(14)
მოგება დაბეგვრამდე		280	(734)
მოგების გადასახადი			-
წლის წმინდა მოგება(ზარალი)		280	(734)

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი


ფინანსური მენეჯერი

სექტემბერი 30, 2020

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 8-16 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს "GEORGIAN BRIDGE CONSTRUCTION"
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ათასი ლარი)

	შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2018		10	716	726
წლის მოგება		-	(734)	972
გადახდილი დივიდენდი	8	-	(3)	(791)
31 დეკემბერი 2019		10	(21)	(11)
წლის მოგება		-	280	280
გადახდილი დივიდენდი	8	-	(1)	(1)
31 დეკემბერი 2020		10	258	268

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

სექტემბერი 30, 2020
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები 8-16 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს "GEORGIAN BRIDGE CONSTRUCTION"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათასი ლარი)

	შენიშვნები	2020	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება გადასახადამდე		280	-734
ცვეთა და ამორტიზაცია	3	214	282
ფინანსური შემოსავალი			10
ზარალი/(მოგება)ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		-1	18
(მოგება)/ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	16	110	22
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან კაპიტალში ცვლილებებამდე		603	-402
შემცირება/(ზრდა) სასაქონლო მატერიალური ფასეულობაში	4	-896	-114
შემცირება/(ზრდა) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	6	-235	-182
(ზრდა)/შემცირება წინასწარ გადახდებში	7	29	-257
(შემცირება)/ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	10	1166	-761
ზრდა/(შემცირება) ფინანსური ლიზინგის ვალდებულებებში		-20	-57
(შემცირება)/ზრდა მიღებულ ავანსებში		-1578	1909
ფულადი სახსრები ოპერაციებიდან		-931	136
გადახდილი პროცენტი			-10
გადახდილი მოგება			
წმინდა ფულის შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან		-931	126
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		-127	-1
შემოსავლები გაცემული სესხიდან			
წმინდა ფული (გამოყენებული)/მოპოვებული საინვესტიციო საქმიანობიდან		-127	-1
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
აღებული სესხი	11	2890	1166
გადახდილი სესხი	11	-1720	-1184
გადახდილი დივიდენდი	9	-1	-3
წმინდა ფული (გამოყენებული)/მიღებული ფინანსური საქმიანობიდან		1169	-21
წმინდა ფულის ზრდა		111	104
ფული და ფული ექვივალენტები წლის დასაწყისში	8	217	113
ფული და ფული ექვივალენტები წლის ბოლოს		328	217

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

სექტემბერი 30, 2020

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 8-16 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს Georgian Bridge Construction (შემდეგში „კომპანია“) დაარსდა და საგადასახადო ორგანოში დარეგისტრირდა 2010 წლის 10 ნოემბერს. დაარსების მომენტისთვის 50-50% წილის მფლობელები იყვნენ შპს „ალინსოი ქონსტრაქშენი“ და შპს „მაგისტრალი“. 2012 წლის 10 ნოემბერს კომპანიის 100% წილის მფლობელი გახდა შპს „ჯორჯიან ბრიჯ კომფანი“ ეს იყო ერთადერთი და უკანასკნელი ცვლილება რომელიც ძალაშია დასკვნის თარიღისთვისაც.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ხიდების მშენებლობა საქართველოს მასშტაბით.

კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველა, VII კვ., კორპ. №9, ბ. №18

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკოს ძირითადი პრინციპები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ ვალუტა ლარში (GEL).

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

ნაღდი ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და სუფთა საერალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	13%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სატრანსპორტო საშუალებები	13%

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შევებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

ლიზინგი

ლიზინგი კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ლიზინგი, როდესაც ლიზინგის პირობები ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებელის გადაცემას. ყველა სხვა დანარჩენი კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო ლიზინგი. ლიზინგით აღებულ აქტივზე უფლებები აღიარდება აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით). ლიზინგის დაწყებისას მოკორესპონდენტო ვალდებულება ლიზინგის გამცემის მიმართ აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური ლიზინგის ვალდებულება. ლიზინგის გადახდების ნაწილი მოდის ფინანსურ ხარჯზე და შესაბამისი ნაწილი ლიზინგის ვალდებულების შემცირებაზე, რათა მიიღონ მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ლიზინგის ვალდებულების ნარჩენ ბალანსზე. ფინანსური ხარჯები გამოიქვითება მოგება-ზარალიდან. ფინანსური ლიზინგით აღებული აქტივები შედის კომპანიის ძირითად საშუალებებში, იცვითება და ფასდება გაუფასურებაზე, ისევე როგორც საკუთარი აქტივები.

საიჯარო გადასახდელები საოპერაციო ლიზინგის დროს გამოიქვითება მოგება-ზარალიდან წრფივი მეთოდით შესაბამისი ლიზინგის პერიოდის განმავლობაში.

სესხები და ოვერდრაფტები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

შემოსავალი სამშენებლო ხელშეკრულებებიდან

შემოსავალი სამშენებლო ხელშეკრულებებიდან აღიარდება შესრულების პროცენტის მეთოდით, რომელიც განისაზღვრება, საანგარიშგებო პერიოდისთვის გაწეული ხელშეკრულების ხარჯების მთლიანი შეფასებული ხელშეკრულების ხარჯებთან შეფარდების პროპორციულად.

3. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენიშნული ნაკლებობები	მანქანა დანადგარები	სამშენებლო ინვენტარი	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივი	სულ
ღირებულება								
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	79	898	805	649	143	414	10	2 998
შეძენა	-	-	1	-	-	-	-	1
გაყიდვა	-	-	-	-	-	(65)	-	(65)
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	79	898	806	649	143	349	10	2 934
შეძენა	-	-	-	113	2	12	-	127
გაყიდვა	-	-	-	-	-	(15)	-	(15)
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	79	898	806	762	145	346	10	3 046
დაგროვილი ცვეთა								
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	-	(27)	(255)	(505)	(92)	(192)	(8)	(1 079)
ცვეთის ხარჯი	-	(45)	(103)	(70)	(17)	(46)	(1)	(282)
გაყიდვა	-	-	-	-	-	15	-	15
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	-	(72)	(358)	(575)	(109)	(223)	(9)	(1 346)
ცვეთის ხარჯი	-	(45)	(98)	(33)	(16)	(22)	-	(214)
გაყიდვა	-	-	-	-	-	5	-	5
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	-	(117)	(456)	(608)	(125)	(240)	(9)	(1 555)
31 დეკემბერი 2018	79	871	550	144	51	222	2	1 919
31 დეკემბერი 2019	79	826	448	74	34	126	1	1 588
31 დეკემბერი 2020	79	781	350	154	20	106	1	1 491

4. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31-Dec-20	31-Dec-19
სამშენებლო ინსტრუმენტები	1 132	236
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	1 132	236

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-Dec-20	31-Dec-19
სავაჭრო მოთხოვნები	976	740
გაუფასურების რეზერვი	-	-
	976	740
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	314	315
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 290	1 055

6. წინასწარი გადახდები

	31-Dec-20	31-Dec-19
გადახდილი ავანსები	268	297
სულ წინასწარი გადახდები	268	297

7. ფული და ფულის ექვივალენტები

	31-Dec-20	31-Dec-19
ფული სალაროში	227	78
ფული ბანკში	101	139
სულ ფული და ექვივალენტები	328	217

8. კაპიტალი

	31-Dec-20	31-Dec-19
გადასახდელი დივიდენდები 1 იანვარი	-	-
წლის განმავლობაში გამოცხადებული დივიდენდები	1	3
წლის განმავლობაში გამოცხადებული დივიდენდები	(1)	(3)
სულ გადასახდელი დივიდენდები	-	-

შპს "GEORGIAN BRIDGE CONSTRUCTION"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ათასი ლარი)

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-Dec-20	1-Jan-19
სავაჭრო გადასახადები	1 057	165
გადასახდელი ხელფასები	99	88
გადასახდელი გადასახადები	265	2
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 421	255

10. სესხები

	31-Dec-20	31-Dec-19
მოკლევადიანი სესხი	1 710	500
გრძელვადიანი სესხი	518	459
სულ სესხები	2 228	959

11. შემოსავალი

	2020	2019
შემოსავალი	7 089	2 997
სულ შემოსავალი	7 089	2 997

12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2020	2019
მასალა	2 354	613
ქვკონტრაქტორები	2 073	1 141
ხელფასი	499	356
საწვავი	242	132
ცვეთა	132	173
სულ გასაყიდი პროდუქციის თვითღირებულება	5 300	2 415

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
ხელფასის ხარჯი	765	707
საქველმოქმედო ხარჯი	1	9
იჯარის ხარჯი	27	51
ცვეთის ხარჯი	83	109
დაზღვევის ხარჯი	63	48
საწვავის ხარჯი	21	-
კომუნალურის ხარჯი	23	21
ქონების ხარჯი	12	16
მივლინების ხარჯი	6	1
სხვა ხარჯი	27	40
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	1 028	1 002

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ხელფასის ხარჯი.

14. საოპერაციო ხარჯები

	2020	2019
რემონტისა და ექსპლუატაციის ხარჯი	51	29
სულ საოპერაციო ხარჯები	51	29

15. ფინანსური ხარჯები

	2020	2019
ფინანსური იჯარის ხარჯი	35	56
გარანტიის ხარჯი	114	38
ბანკის საკომისიო	17	11
საპროცენტო ხარჯი	154	124
სხვა ფინანსური ხარჯი	3	5
სულ ფინანსური ხარჯები	323	234

16. მოგება /(ზარალი) საკურსო სხვაობიდან

კომპანიის (ზარალი)/მოგება საკურსო სხვაობიდან შედგება არარეალიზებული გაცვლითი კურსისგან და წარმოადგენს 22 ათასი ლარის ზარალს 2019 წელს და 110 ათასი ლარის ზარალს 2020 წელს

	2020	2019
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	(110)	(22)
სულ მოგება(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	(110)	(22)

17. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

	2020	2019
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	1	(18)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	19	3
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(17)	(14)
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	3	(29)